N194 2015 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/12/2014, 010220000.10.003.018257) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ჰ^{2}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{2}) საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - ეკონომიკური საბჭოს აპარატის ტექნიკურ-მატერიალურ, იურიდიულ, ფინანსურ და სხვა სახის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**